მთლიანი შიდა პროდუქტი 2013 წელს

2013 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა დაზუსტებული მონაცემებით, მიმდინარე ფასებში 26 847,4 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 2,6 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წელთან შედარებით 3,3 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო დეფლატორი შემცირდა 0,7 პროცენტით.

ცხრილი №1

	2012	2013
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	26 167,3	26 847,4
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი)	15 846,8	16 139,9
მშპ ერთ სულზე (ლარი)	5 818,1	5 987,6
მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)	3 523,4	3 599,6
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	6,4	3,3
მშპ-ის დეფლატორი (%)	1,0	-0,7

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა და დეფლატორი 2005-2013 წლებში (პროცენტი)



ცხრილი №2

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

NACE-ის სექცია	2012	2013
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	1 933,3	2 195,0
სამთომოპოვებითი მრეწველობა	230,8	210,3
დამამუშავებელი მრეწველობა	2 288,5	2 468,5
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	637,0	699,8
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	601,0	658,4
მშენებლობა	1 756,9	1 568,2
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	3 769,5	4 026,8
სასტუმროები და რესტორნები	510,6	526,2
ტრანსპორტი	1 703,9	1 789,2
კავშირგაბმულობა	691,6	662,0
საფინანსო საქმიანობა	633,5	706,1
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	1 232,5	1 351,9
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	730,5	791,6
სახელმწიფო მმართველობა	2 526,3	2 365,4
განათლება	1 092,3	1 202,5
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1 362,2	1 338,5
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	1 066,2	1 069,6
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	29,3	29,6
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	-290,8	-324,7
მშპ საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი	**22 505,3**	**23 335,0**
(+) გადასახადები პროდუქციაზე	3 790,0	3 659,5
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	128,0	147,2
მშპ საბაზრო ფასებში, მლნ. ლარი	**26 167,3**	**26 847,4**

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში უდიდესი წილი უკავია ვაჭრობის (17,3 პროცენტი) და მრეწველობის (17,3 პროცენტი) სექტორებს. შემდეგ პოზიციებს იკავებენ: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,5 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა (10,1 პროცენტი), სოფლის მეურნეობა (9,4 პროცენტი), მშენებლობა (6,7 პროცენტი), ჯანდაცვა და სოციალური დახმარება (5,7 პროცენტი).

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა
2013 წელი



ცხრილი №3

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წლის მიმართ (პროცენტი)

NACE-ის სექცია	2012	2013
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	-3,7	11,3
სამთომოპოვებითი მრეწველობა	6,6	2,8
დამამუშავებელი მრეწველობა	13,2	8,6
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	0,7	5,1
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	-2,6	6,8
მშენებლობა	18,2	-10,5
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	7,1	5,4
სასტუმროები და რესტორნები	11,4	4,6
ტრანსპორტი	7,0	3,2
კავშირგაბმულობა	10,1	0,9
საფინანსო საქმიანობა	14,8	7,0
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	5,3	9,6
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	3,7	3,1
სახელმწიფო მმართველობა	3,3	2,2
განათლება	3,1	2,4
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	2,9	0,0
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	7,1	1,6
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	6,7	-0,6
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	10,2	11,6
მშპ საბაზისო ფასებში	**6,2**	**3,8**
გადასახადები პროდუქციაზე	7,2	1,1
სუბსიდიები პროდუქციაზე	-0,5	14,2
მშპ საბაზრო ფასებში	**6,4**	**3,3**
მშპ დეფლატორის ზრდა	1,0	-0,7

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: სოფლის მეურნეობა (11,3 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (9,6 პროცენტი), დამამუშავებელი მრეწველობა (8,6 პროცენტი), საფინანსო საქმიანობა (7,0 პროცენტი), ვაჭრობა (5,4 პროცენტი), ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და

განაწილება (5,1 პროცენტი). სასტუმროები და რესტორნები (4,6 პროცენტი), ტრანსპორტი (3,2 პროცენტი).

კლება აღინიშნა მშენებლობაში (10,5 პროცენტი).

ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა ასახულია ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე:



შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საინფორმაციო ფურცელი

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება კვარტალების მიხედვით ხორციელდება ყოველთვიური და ყოველკვარტალური მონაცემების საფუძველზე. შესაბამისად, აუცილებელი ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური დაზუსტება წლიური მონაცემების გათვალისწინებით. წლიური მონაცემები, როგორც წესი განსხვავდება კვარტალური მონაცემებისაგან.

გასული წლის წლიური მონაცემების მიღებასთან ერთად, ხელახლა ითვლება მიმდინარე წლის კვარტალური მონაცემებიც. მაგალითად, 2014 წლის პირველი და მეორე კვარტალის მონაცემები თავდაპირველად გაანგარიშდა 2013 წლის წინასწარი მონაცემების საფუძველზე. ხოლო 2014 წლის ნოემბერში, 2012 წლის წლიური მონაცემების დაზუსტებასთან და 2013 წლის კვარტალური მონაცემების ცვლილებასთან ერთად შეიცვალა 2014 წლის პირველი და მეორე კვარტალის მონაცემებიც. ანალოგიურად, 2015 წლის ნოემბერში საბოლოოდ დაზუსტდება 2014 წლის წლიური მაჩვენებლები.

წლიურ დაზუსტებასთან ერთად საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია დინამიკური მწკრივების ერთიანი ცვლილება, რომელიც ხორციელდება ხუთ წელიწადში ერთხელ და ითვალისწინებს ამ პერიოდში მომხდარ მეთოდოლოგიურ ცვლილებებს ან ახალი გამოკვლევების შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენების საჭიროებას. 2014 წლის ნოემბერში დაზუსტდა ეროვნული ანგარიშების რამდენიმე მაჩვენებლის დინამიკური მწკრივები, კერძოდ:

- მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოების მეთოდით მუდმივ 2003 წლის ფასებში;
- დაქირავებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება;
- შინამეურნეობების საბოლოო მოხმარება;
- შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების საბოლოო მოხმარება.

დაზუსტების შედეგად 2013 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებელი გაიზარდა 0,1 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 3,3 პროცენტი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპები დაზუსტებამდე და დაზუსტების შემდეგ წლების მიხედვით:

მშპ-ის რეალური ზრდა წინა წლის მიმართ (პროცენტი)	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
წლიური დაზუსტების შემდეგ	5.9	9.6	9.4	12.6	2.6	-3.7	6.2	7.2	6.4	3.3
წლიურ დაზუსტებამდე	5.9	9.6	9.4	12.3	2.3	-3.8	6.3	7.2	6.2	3.2

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპები დაზუსტებამდე და დაზუსტების შემდეგ კვარტალების მიხედვით:

მშპ-ის რეალური ზრდა წინა წლის შესაბამისი პერიოდის მიმართ (პროცენტი)	წლიური დაზუსტების შემდეგ	წლიურ დაზუსტებამდე
I 10	2.8	3.7
II 10	7.7	8.3
III 10	6.9	6.7
IV 10	7.1	6.1
I 11	6.0	5.8
II 11	5.9	6.0
III 11	8.6	7.9
IV 11	8.0	8.5
I 12	6.7	6.6
II 12	8.4	8.2
III 12	7.7	7.5
IV 12	3.2	3.0
I 13	2.4	2.4
II 13	1.6	1.5
III 13	1.4	1.4
IV 13	7.6	7.1
I 14*	7.2	7.1
II 14*	5.2	5.2

* დაზუსტებული მაჩვენებლები გამოქვეყნდება 2015 წლის 16 ნოემბერს

საკონტაქტო პირები: ლევან გოგობერიშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: lgogoberishvili@geostat.ge; info@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge; info@geostat.ge